



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლთბებს

ნელლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

7 მარტი 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	215.0	0.0%	+19.4%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	83.6	+2.3%	+8.5%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,401.5	-1.2%	-0.7%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,285.0	-3.7%	-3.7%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,512.0	-3.9%	+9.3%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,044.3	+0.2%	-0.9%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	27.2	-16.4%	-12.8%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	212.0	-9.8%	-19.2%	

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი


2024 წლის თებერვალში ნავთობის ფასი თვიურად 2.3%-ით გაიზარდა. იანვარში ჩრდილოეთ ამერიკის წარმოების შეფერხებებმა (განხილულია ჩვენს წინა [მიმოხილვაში](#)) ბაზარი მცირედით დაძაბა. შემცირებულმა მარაგებმა ფასი გაზარდეს, თუმცა წინა თვისგან განსხვავებით, ეს არ იყო ფასის ერთადერთი მამოძრავებელი. ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე, მოსალოდნელი მოთხოვნა-მიწოდების დინამიკა და OPEC+-ის შეხვედრა თებერვლის ნავთობის ვაჭრობის განმსაზღვრელი ფაქტორები იყო.

თებერვლის პირველ დღეებში ისრაელსა და ჰამას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იყო. ჩართული მხარეების განცხადებით, შეთანხმებას „რეალური შანსი ჰქონდა და შეეძლო ხანგრძლივი ცეცხლის შეწყვეტის ინიცირება“. ისრაელის პრემიერ მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ, 7 თებერვალს ჰამასის ეს შეთავაზება უარყო და ისრაელმა ქალაქი რაფაჰის დაბომბვა განაგრძო, რაც მიმდინარე კონფლიქტის ესკალაციაა. მოვლენების ამ განვითარებას ნავთობის ფასის 3.1%-იანი ზრდა მოჰყვა 8 თებერვალს.


მიწოდების მხარეს, ანალიტიკოსების მოლოდინების შესაბამისად, OPEC+-მა საკუთარი წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება (დღეში დაახლ. 2 მლნ ბარელი) 2024 წლის ივლისამდე გააგრძელა. წლის დასაწყისიდან ერთი ბარელი ნავთობის ფასი \$80-ის ირგვლივ მერყეობს, რაც OPEC-ის უმსხვილესი მწარმოებელი საუდის არაბეთისთვის მნიშვნელოვნად დაბალია. Fitch Ratings-ის მიხედვით, საუდის არაბეთს ნავთობი \$90-100 ფარგლებში სჭირდება რათა შეძლოს საკუთარი ამბიციური პროექტების დაფინანსება - ეკონომიკური რეფორმები, ფუტურისტული ქალაქები, სპორტული ტურნირები და ა.შ. OPEC-ის შეხვედრის გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო, შესაბამისად - ფასებში უკვე მეტ-ნაკლებად ასახული. ჯგუფის წევრებს, სავარაუდოდ, უფრო რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ ივნისის შეხვედრისას, როცა 2024 წლის მეორე ნახევარში სამოქმედო გეგმას დასახავენ.

მეორეს მხრივ, OPEC-ის არაწევრი ქვეყნების ლიდერს, აშშ-ს ნავთობის მაღალი ფასები არ აწყობს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაიდენის ადმინისტრაციას საარჩევნო წელი უდგას და ინფლაციის წნეხი მის ელექტორალურ რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს. ამ ეტაპზე, ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების დინამიკა დაბალი ფასის შენარჩუნებაზე მეტყველებს. საერთაშორისო ენერჯეტიკული ასოციაციის (IEA) მიხედვით, არსებული მიწოდება საკმარისია მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდის დასაკმაყოფილებლად (+1.2 მლნ ბარელი დღეში). OPEC-ის მიხედვით კი მოთხოვნა უფრო მეტად, დღეში 2.2 მილიონი ბარელით გაიზარდება 2024 წელს, თუმცა, ამ ეტაპზე, არც ეს მაჩვენებელია საკმარისი ფასების მნიშვნელოვნად გასაზრდელად.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის ღირებულება სტაბილურია წლის პირველ თვეში. იმპორტის მოცულობა ჯამურად 1.3%-ით შემცირდა წ/წ.



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის თებერვალში ოქროს ფასი თვიურად 0.2%-ით გაიზარდა. თებერვლის პირველ ნახევარში ოქრო მიმდინარე წელს პირველად ჩამოცდა \$2,000 ნიშნულს, გლობალური მაკროეკონომიკური ფაქტორების შედეგად. აშშ-ს ინფლაცია 3.1% დაფიქსირდა, მოსალოდნელ 2.9%-ზე მეტი, რაც ახლო პერიოდში განაკვეთების კლების შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. საპირწონედ, აშშ-ში საცალო ვაჭრობის აქტივობა შენედა, რაც პოტენციურად სუსტ დოლარზე მეტყველებს, ეს კი ოქროს \$2,000-ზე მაღლა დაბრუნებაში დაეხმარა.

მსოფლიოში მიმდინარე ომები და უმეტეს ქვეყნებში დაგეგმილი არჩევნები ოქროს ფასზე დადებითად იმოქმედებს, რადგან ინვესტორები გეოპოლიტიკური რისკების ჰეჯირებას ახდენენ. დამატებით, ცენტრალურმა ბანკებმა ოქროს რეზერვები 1,000 ტონაზე მეტით გაზარდეს 2023 წელს. ყველაზე მეტი - 225 ტონა ჩინეთმა შეიძინა, მას მოჰყვება პოლონეთი 130 ტონით. ორივე სტაბილური მყიდველები იყვნენ გასული წლის მანძილზე და ცენტრალური ბანკების ეს ტრენდი მოსალოდნელია რომ გაგრძელდება, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მხრიდან.


ოქროს ფასის ზრდის ერთ-ერთი პირველი გამომწვევი მიზეზი 2023 წელს აშშ-ს რეგიონული ბანკების კრიზისი იყო, როცა სამი პატარა და საშუალო ზომის ბანკი გაკოტრდა, რამაც თავის მხრივ მსოფლიოს მასშტაბით ბანკების აქციების კლება, ხოლო ოქროზე მოთხოვნის ზრდა გამოწვია. აშშ-ს საბანკო სექტორის რყევის შიშის დაბრუნებამ 2024 წლის მარტის პირველ დღეებში ოქრო კიდევ ერთხელ გაზარდა რეკორდულ ნიშნულამდე. New York Community Bancorp-მა (NYCB) საკუთარი სასესხო პორტფელის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებში „მნიშვნელოვანი სისუსტე“ აღმოაჩინა. Fitch Ratings-მა და Moody's-მა ბანკის საკრედიტო რეიტინგი შეამცირა საინვესტიციო ქულაზე დაბალ ნიშნულამდე. აშშ-ს სხვა რეგიონულმა ბანკმა, Republic First Bancorp-მა ასევე გამოაცხადა რომ აუდიტორმა მის შიდა კონტროლის მექანიზმებში „მნიშვნელოვანი სისუსტე“ აღმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბანკი გასული წლის კრიზისის დროს გაკოტრებულ ბანკებთან შედარებით საკმაოდ პატარაა, რეგულატორები და ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამ მოვლენამ შესაძლოა კიდევ გამოიწვიოს რეგიონული ბანკების მიმართ უნდობლობა აშშ-ში.

პოტენციური ახალი საბანკო კრიზისის ბედი და მისი გავლენა ოქროზე მარტის თვის განმავლობაში გამოიკვეთება, რასაც ჩვენს შემდეგ მიმოხილვაში განვაგრძობთ. მანამდე კი, საინვესტიციო ბანკების მედიანური მოლოდინის თანახმად, ოქროს საშუალო ფასი 5.1%-ით გაიზარდება 2024 წელს.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის ღირებულება და მოცულობა (-40% წ/წ) წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა იანვარში. თუმცა, გასულ წლებში ჯამური სტაბილური ექსპორტის მოცულობის ფონზე, ერთი თვის მონაცემი წლის მასშტაბში მნიშვნელოვან ცვლილებას ჯერ არ ნიშნავს.



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის თებერვალში ამონიუმის ნიტრატის ფასი ერთ ტონაზე \$215 შენარჩუნდა. წითელ ზღვაში 18 თებერვალს ჰუსიტების თავდასხმის შედეგად გადამზიდი ჩაიძირა, რომელსაც საუდის არაბეთიდან ბულოგარეთისკენ 18,000 ტონა ამონიუმის ფოსფატი გადაჰქონდა. გარემოზე ზიანის გარდა, ინციდენტმა მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის პოტენციური რღვევის რისკები გააჩინა. მეორეს მხრივ, მოთხოვნის მხარეც ტრადიციულ გაზაფხულის სეზონებთან შედარებით სუსტია, რადგან ფერმერები ევროპის მასშტაბით განგრძობენ მალალი გადასახადების, რეგულაციებისა და უსამართლო კონკურენციის პროტესტს. მანამ, სანამ ბრიუსელში, მადრიდში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში გამოსვლები გრძელდება, სასუქების სამომავლო მოთხოვნის პროგნოზი ბუნდოვანია.

ხორბალი

2024 წლის თებერვალში ხორბლის ფასი თვიურად 9.8%-ით შემცირდა. ფასების კლება მსხვილ მწარმოებლებში (ბრაზილია, რუსეთი, აშშ) პროდუქციის ზრდას უკავშირდება. მიმდინარე დაღმავალი ტრენდი იმ სწრაფი ზრდის საპირისპიროა, რაც 2022 წელს რუსეთის უკრაინაში (მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი) შეჭრას მოჰყვა. ამის გამო გაზრდილმა ფასებმა ფერმერებს უბიძგეს მეტი ფართობის ნათესებისკენ. ახალმა მოსავალმა და უკრაინის მხრიდან მიწოდების გაგრძელებამ კი მარცვლოვან კულტურებზე ფასი მკვეთრად შეამცირა 2023-24 წლებში. ციკლის შესაბამისად, დაბალი ფასების გამო ფერმერები ახლა ნათესი ფართობების შემცირებას იწყებენ. შესაბამისად, პოტენციურად შემცირებულმა მოსავალმა ფასები მომავალში უნდა გაზარდოს, თუმცა მოკლე ვადაში დაბალი ფასის შენარჩუნებაა მოსალოდნელი.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 59.8%-ით შემცირდა იანვარში, რაც ფასების მკვეთრ კლებას უკავშირდება, რამეთუ ექსპორტის მოცულობა წლიურად მხოლოდ 16.5%-ითაა შემცირებული.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 46.2%-ითაა გაზრდილი იანვარში, ხოლო მოცულობა 86.9%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-21.8% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები

სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის თებერვალში სპილენძის ფასი თვიურად 1.2%-ით შემცირდა. სპილენძის კონცენტრატების შებენილი ბაზარი სპილენძის ფასზე დადებითად მოქმედებს. Hernan Videla-ს, ჩილურ მწარმოებელს, ოპერაციების დროებით შეჩერება მოუხდა, რადგან მომპოვებელ კომპანიებს აღარ შეეძლოთ ქარხნის მომარაგება. გადაზიდვის პრობლემებმა წითელ ზღვასა და პანამის არხში ლონდონის მეტალურგიული ბირჟის მარაგები ექვსთვიან მინიმუმამდე შეამცირა. საპირწონედ, მზარდი ჩინური მარაგები, თუმცა მისი კლებაა მოსალოდნელი მარტიდან, ადგილობრივი მოთხოვნის გამოცოცხლების ფონზე. ცენტრალური ბანკების საპროცენტო განაკვეთების კლების გადავადებას სპილენძზე უარყოფითი გავლენა აქვს (სესხის დაბალი პროცენტი ეკონომიკაში სპილენძის მოთხოვნაზე დადებითად მოქმედებს). მიუხედავად ამისა, S&P Global-ის მიხედვით, ბაზარზე 292,000 ტონა სპილენძის დეფიციტი იქნება 2024 წელს.

ფეროსილიკონი


2024 წლის თებერვალში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 3.9%-ით, ხოლო ჩინურის 3.7%-ით შემცირდა. მიუხედავად თვიური კლებისა, ევროპული ფასი წლის დასაწყისიდან 9.3%-ითაა გაზრდილი. სამომავლო ფასის პროგნოზი ბუნდოვანია, რადგან რკინისა და ფოლადის ინდუსტრიებში დაბრკოლებები კვლავ არსებობს. თუმცა, წლის განმავლობაში კლებადი განაკვეთები გაზრდის მოთხოვნას უძრავი ქონებისა და ინდუსტრიული სექტორის მხრიდან.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. 2023 წლის თანდათანობით კლების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა განულდა 2024 წლის იანვარში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 61.8%-ით შემცირდა იანვარში, რაც ფასების მკვეთრი კლებით აიხსნება, რამაც მწარმოებლებს უბიძგა შეემცირებინათ ექსპორტის მოცულობაც (-51.8% წ/წ).

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოთხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაყვლითი ექსპონენცია.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე, მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge